აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები

WWW.ADJARA.GOV.GE

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები

1. გულის ქირურგია

პროგრამა ითვალისწინებს იშემიური დაავადებების, სიმსივნის, თანდაყოლ ილი და შეძენილის მანკების კარდიოქირურგიულ მკურნალობას.

- **მოსარგებლეები**

◊ 18-წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობა, რომლებიც არ სარგებლობენ სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული გულის ქირურგიის პროგრამით.

- **ფინანსირდება**

ფაქტიური ხარჯით, დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშფაქტურის მიხედვით, არაუმეტეს პროგრამით გათვალისწინებული ტარიფისა, შემდეგი პროპორციებით:

◊ 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეები-90 %-ით;

◊ ყველა სხვა კატეგორიის პაციენტები-80 %-ით;

◊ ვეტერანებს პროგრამით განსაზღვრული ტარიფის ფარგლებში უფინანსდებათ სრულად.

2. მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება

პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკების დაცვას, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო პროგრამებით.

- **მოსარგებლეები**

◊ პაციენტები სტიქიური მოვლენებისა და კატასტროფების შედეგად გამოწვეული დაზიანებებით;

◊ 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეები;

◊ შშმ პირები;

◊ ომის ვეტერანები;

◊ ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილეები, დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები);

◊ მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრები;

◊ ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეები;

◊ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირები;

◊ უსახლკაროთა თავშესაფარის კონტინგენტი;

◊ უსახლკაროები;

◊ მარტოხელა დედები;

◊ პაციენტები, რომლებსაც არ აქვთ მინიჭებული სარეიტინგო ქულა, მაგრამ მატერიალური მდგომარეობა არ იძლევა საშუალებას მიიღონ აუცილებელი მკურნალობა.

- **დაფინანსების ფორმა**

მკურნალობა დაფინანსდება ფაქტიური ხარჯით შემდეგი პროპორციებით:

◊ 1000 ლარის ჩათვლით-100%-ით;

◊ 1001 ლარიდან 2000 ლარის ჩათვლით-90%-ით;

◊ 2001 ლარიდან 3000 ლარის ჩათვლით-80%-ით;

◊ 3001 ლარი და მეტი-70%-ით, არაუმეტეს 7000 ლარისა.

განხორციელდება ონკოლოგიურ პაციენტთა ტარგენტული, იმუნოთერაპიული მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტებისა და ბისფოსფონატების ჯგუფისმედიკამენტების დაფინანსება პროგრამით გათვალისწინებული პროპორციების დაცვით არაუმეტეს 5000 ლარისა, წლიური ლიმიტი – 10 000 ლარი.

3. სახსრების ენდოპროთეზირება

პროგრამა ითვალისწინებს სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსებას.

- **მოსარგებლეები საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე.**
- **დაფინანსების ფორმა**

დაფინანსების ზღვრული თანხა შეადგენს 4000 ლარს

◊ 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტებისთვის ფაქტიური ხარჯის 90 %-ით;

◊ დანარჩენი ბენეფიციარებისთვის (რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 100 000–დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები; ომის ვეტერანები, ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში მონაწილეები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრები) ფაქტიური ხარჯის 80%-ით;

◊ სხვა დანარჩენი მოქალაქეებისათვის ფაქტიური ხარჯის 70%–ით.

4. ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა

პროგრამა ითვალისწინებს მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევების დაფინანსებას.

- **მოსარგებლეები**

◊ 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეები

- **დაფინანსების ფორმა**

დაფინანსება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით, არაუმეტეს ქვეპროგრამაში გათვალისწინებული მაღალტექნოლოგიური კვლევების ღირებულებისა, შემდეგი პროპორციებით:

◊ 70000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტები, 200 000–ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები–100 %-ით;

◊ 70 001-დან 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტები–90 %-ით;

◊ 100 001–დან 200 000–ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტები–80%-ით.

შენიშვნა:

- **იმ შემთხვევაში, როცა გამოკვლევების ღირებულება ნაკლებია პროგრამით გათვალისწინებულ თანხაზე, ზემოაღნიშნული პროპორციებით განსაზღვრული მაჩვენებლები გაითვლება წარმოდგენილი ღირებულებიდან.**
- **თუ მომწოდებლის მომსახურების ტარიფი აღემატება პროგრამით გათვალსწინებულ ღირებულებას, დაფინანსება განხორციელდება პროგრამის ტარიფით დადგენილი პროპორციებით. განსხვავებას ღირებულებასა და სამინისტროს მიერ დასაფინანსებელ თანხას შორის დაფარავს პაციენტი.**

5. სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარება

- **პროგრამის მიზანი**

◊ სოფლის მოსახლეობის ადგილზე უზრუნველყოფა ექიმამდელი სამედიცინო დახმარებით.

პროგრამა ითვალისწინებს თემის სამედიცინო პუნქტების მედდების ხელფასით, მედიკამენტებით და სადიაგნოსტიკო საშუალებებით უზრუნველყოფას.

6. სოფლად პირველადი ჯანდაცვის განვითარებაზე ხელშეწყობა

პროგრამა ითვალისწინებს ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლის ექიმებისათვის მაღალი გამავლობის ავტომანქანების შეძენას.

სოციალური დაცვის პროგრამები

1. სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაცია

მომსახურება ანაზღაურდება პროგრამით გათვალისწინებული ტარიფით (178 ლარის ოდენობი), რეაბილიტაციის 1 კურსი მოიცავს 20 დღეს.

- **მოსარგებლეები**

◊ სხვადასხვა ხარისხის სქოლიოზით დაავდებული 18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთა ოჯახები რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით.

- **პროგრამა ითვალისწინებს**

◊ სამკურნალო ვარჯიშებს;
◊ მასაჟს;
◊ ექიმ-სპეციალისტის კონსულტაციას.

2. ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/ რეაბილიტაცია

მომსახურება ანაზღაურდება პროგრამით გათვალისწინებული ტარიფით - 233,33 ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში 1 პაციენტს დაუფინანსდება რეაბილიტაციის არაუმეტეს 6 კურსი, 1 კურსი მოიცავს 10 დღეს.

- **პროგრამა ვრცელდება 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე, რომელთაც აღენიშნებათ**

◊ ცერებრული დამბლა;
◊ ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის, კუნთთა და ძვალსახსროვანი სისტემის დაავადებები.

- **პროგრამა ითვალისწინებს**

◊ ფიზიკურ თერაპიას
◊ მეტყველების და ენის თერაპიას;
◊ ნევროლოგის, ფსიქოლოგის და ლოგოპედის მეთვალყურეობას;
◊ ფიზიკური თერაპიის სახლის პირობებში ჩატარების სწავლებას.

შენიშვნა:

- თუ ბენეფიციარი მოითხოვს რეაბილიტაციის დაფინანსებას დაწესებულებაში, სადაც მომსახურება მიეწოდება განსხვავებული პირობებით და მისი ღირებულება აღემატება პროგრამით გათვალისწინებულ ტარიფს, სამინისტრო მის დაფინანსებას უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული ტარიფის შესაბამისად, დარჩენილ ნაწილს დაფარავს ბენეფიციარი.

3. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა სოციალური ადაპტაცია

პროგრამა ითვალისწინებს აჭარის ა/რ მუნიციპალიტეტებში მცხოვრები შშ სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვების სამედიცინო მეთვალყურეობას, მათ საჭიროებებზე მორგებულ სწავლებას, ფსიქოლოგიურ დახმარებას, სადღეღამისო მომსახურებას კვებით, სოციალური უნარ-ჩვევების სწავლებას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის ოჯახურთან მიახლოებული გარემოს შექმნის მიზნით ბავშვის ჩართვა ქვეპროგრამაში განხორციელდება მშობელთან ან ოჯახის სრულწლოვან წევრთან ერთად.

- **დაფინანსების ფორმა**

◊ წლის განმავლობაში 1 ბენეფიციარს დაუფინანსდება რეაბილიტაციის არაუმეტეს 2 კურსი, კურსი მოიცავს 15 დღეს, მომსახურება დაფინანსდება დღეში 20 ლარით, ხოლო მშობლის ან ოჯახის სრულწლოვანი წევრის – 10 ლარით დღეში.

4. მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა

- **მოსარგებლეები**

◊ მარტოხელა დედები 10 წლამდე ასაკის ბავშვით (ბავშვებით) ან ორსული ქალები (26 კვირის და მეტი ვადის ორსულობა).

პროგრამა ითვალისწინებს ბენეფიციარების დროებითი 24-საათიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფას სამჯერადი კვებით, მომარაგებას ტანისამოსითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით, ფსიქოლოგიურ დახმარებას, დასაქმებაში, პროფესიული და არაფორმალური განათლების მიღებაში ხელშეწყობას. მომსახურება დაფინანსდება დღეში 17 ლარით.

5. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა

მომსახურება დაფინანსდება პროგრამით გათვალისწინებული ტარიფით (300 ლარი), განსხვავებას ღირებულებასა და სამინისტროს მიერ დასაფინანსებელ თანხას შორის დაფარავს ბენეფიციარი.

- **მოსარგებლეები**

◊ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;

◊ ასაკით პენსიონერები.

- **პროგრამა ითვალისწინებს**

◊ სავარძელ–ეტლით უზრუნველყოფას;

◊ ეტლის მორგებას;

◊ ეტლის გამოყენებასთან დაკავშირებულ სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევას;

◊ საგარანტიო მომსახურებას 24 თვის განმავლობაში.

6. სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა

- **მომსახურება დაფინანსდება პროგრამით გათვალისწინებული ტარიფით (400 ლარი), განსხვავებას ღირებულებასა და სამინისტროს მიერ დასაფინანსებელ თანხას შორის დაფარავს ბენეფიციარი.**
- **მოსარგებლეები**

◊ III-IV ხარისხის სმენაჩლუნგობის მქონე მოქალაქეები;

◊ 18 წლამდე ასაკის ბავშვები ნებისმიერი ხარისხის სმენაჩლუნგობით.

- **პროგრამა ითვალისწინებს**

◊ ციფრული სმენის აპარატებით უზრუნველყოფას;

◊ აპარატის მორგებას;

◊ აპარატის გამოყენებასთან დაკავშირებულ სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევას;

◊ საგარანტიო მომსახურებას 12 თვის განმავლობაში.

7. უსინათლო მოქალაქეების უზრუნველყოფა უსინათლოთა „თეთრი“ ხელჯოხებით

ბენეფიციარებს მომსახურება დაუფინანსდება 100%-ით.

- **მოსარგებლეები**

◊ უსინათლო მოქალაქეები.

- **პროგრამა ითვალისწინებს**

◊ უსინათლოთა „თეთრი“ ხელჯოხებით უზრუნველყოფას.

8. 100 წელს გადაცილებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება

მატერიალური დახმარება-1000 ლარის ოდენობით გადაეცემა 100 წლის ასაკის და 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებს.

- **დაფინანსების ფორმა**

◊ დახმარება გაიცემა პირადობის მოწმობის საფუძველზე, თანხის გაცემას უზრუნველყოფს სამინისტროს მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენლის მონაწილეობით.

9. ახალშობილი ტყუპების ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება

პროგრამის ფარგლებში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაიცემა იმ ოჯახებზე, სადაც დაიბადება ორი ან ორზე მეტი ტყუპი.

- **დაფინანსების ფორმა**

◊ თანხა ტყუპისცალზე შეადგენს 1000 ლარს, ჩარიცხვა განხორციელდება მშობლის საბანკო ანგარიშზე.

10. 2008 წლის რუსული აგრესიისა და 2012 წელს ავღანეთში დაღუპულთა ოჯახების დახმარება

- **პროგრამა ითვალისწინებს**

◊ 2008 წლის აგვისტოს თვეში განვითარებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპულ აჭარის ა/რ ტერიტორიაზე მცხოვრებ 16 სამხედრო მოსამსახურის, ასევე, 2012 წელს ავღანეთში დაღუპულ 3 მეომრის ოჯახზე მატერიალური დახმარების გაწევას.

- **დაფინანსების ფორმა**

◊ დედისა და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება გაეწევა დაღუპული მეომრების დედებს და მეუღლეებს თითოეულს 1000 ლარის ოდენობით, სულ 23 ბენეფიციარს. აგვისტოს თვეში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევა 19 მეომრის ოჯახს-თითოეულს 3000 ლარის ოდენობით.

პროგრამებში ჩართვისათვის ბენეფიციარმა სამინისტროში უნდა წარმოადგინოს:

◊ განცხადება;
◊ ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ფორმა №IV-100/ა; (პაციენტის დიაგნოზი, ჩარევები და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად);
◊ ანგარიშფაქტურა გაცემული სამედიცინო დაწესებულების მიერ;
◊ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება;
◊ საჭიროების შემთხვევაში ბენეფიციარის მშობლის ან წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
◊ საჭიროების შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის ასლი;
◊ ქვეპროგრამის მოსარგებლის დამადასტურებული დოკუმენტი.

შენიშვნა:
- პროგრამის მოსარგებლე 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებული უნდა იყოს აჭარის ა/რ ტერიტორიაზე.
- პროგრამის მოსარგებლეს უფლება აქვს, თავად აირჩიოს სამკურნალო დაწესებულება საქართველოს მასშტაბით.
- არ დაფინანსდება უკვე ჩატარებული სამედიცინო მომსახურება, საზღვარგარეთ მკურნალობა და სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული თანაგადახდა მოსარგებლის მხრიდან.

დეტალური ინფორმაციისათვის დარეკეთ (0422) 247972, (0422) 24-79-64
ან მომართეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მისამართზე ქ. ბათუმი, აკადემიკოს მამია კომახიძის ქ. N119.

პროგრამების სრული ვერსია იხილეთ ელექტრონულ მისამართზე: www.adjara.gov.ge

საქართველოში მოქმედი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ელექტრონულ მისამართზე: www. moh.gov.ge; www.ssa.gov.ge

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო**

(0422) 247972, (0422) 24-79-64
ქ. ბათუმი, აკადემიკოს მამია კომახიძის ქ. N119.